საქმე №3/3032-20

6003595389898

www.ecd.court.ge

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით

22 მაისი, 2020 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ქეთევან მინაშვილი

შუამდგომლობის ავტორი - საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მოთხოვნა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადება

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადება შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[30] მუხლის, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 დეკემბრის №487 დადგენილებით განსაზღვრული გაერთიანებული ერების ორაგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის დებულების მე-4 მუხლის „ა" ქვეპუნქტების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში გადმოიგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციების შესაბამისად მოქმედი „ისლამური სახელმწიფოსა" („დაეში") და „ალ-ქაედას" სანქციათა კომიტეტის მიერ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციების საფუძველზე განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია.

შუამდგომლობის ავტორის მითითებით, „ისლამური სახელმწიფოსა" (დაეში") და „ალ-ქაედას" სანქციათა კომიტეტის სანქციათა სიას დაემატა 1 ფიზიკური პირი. შესაბამისად, მოითხოვა, განხილულ იქნეს შუამდგომლობა და საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიაში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებას.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად სასამართლოს მიიჩნევს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ კანონის მიზანია საქართველოში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების, აგრეთვე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი სამართლებრივი მექანიზმის შექმნა.

ამავე კანონის 40-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისია (შემდგომ – სამთავრობო კომისია) არის საქართველოში მთავარი საკონტაქტო ორგანო გაეროს სანქციების კომიტეტისთვის და სხვა სტრუქტურებისთვის ტერორიზმის დაფინანსებისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით ამ თავით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სამთავრობო კომისიის მართვასთან, სტრუქტურასთან, უფლებამოსილებასთან, შემადგენლობასა და საქმიანობის წესთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სამთავრობო კომისიის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. მე-3 პუნქტის მიხედვით, სამთავრობო კომისია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში თანამშრომლობს და ცვლის ინფორმაციას საქართველოს და სხვა იურისდიქციის კომპეტენტურ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ხოლო მე-4 პუნქტის შესაბამისად, სამთავრობო კომისიის შემადგენლობაში ფუნქციონირებს სამუშაო ჯგუფი, რომელიც სამთავრობო კომისიის ფუნქციების შესასრულებლად უზრუნველყოფს სათანადო ინფორმაციის მოძიებას, დამუშავებასა და გავრცელებას.

ამავე კანონის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამთავრობო კომისია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს იმ პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე შუამდგომლობით, რომელიც გაეროს სანქციების კომიტეტის გადაწყვეტილებით შეყვანილია სანქციადაქვემდებარებულ პირთა სიაში. ამავე მუხლის მე-2 პუნტის მიხედვით, სამთავრობო კომისია ვალდებულია შესაბამისი პირისთვის შეუტყობინებლად, დაუყოვნებლივ განიხილოს საქართველოს ან სხვა იურისდიქციის კომპეტენტური ორგანოს მიმართვა ამ პირის მიმართ გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001)

რეზოლუციით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების თაობაზე. მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიმართვის საფუძველზე, დასაბუთებული ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, რომ შესაბამისი პირი აკმაყოფილებს გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001) რეზოლუციით განსაზღვრულ სათანადო პირობებს, სამთავრობო კომისია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართავს სასამართლოს ამ პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე შუამდგომლობით. მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამთავრობო კომისია ვალდებულია შესაბამისი პირისთვის შეუტყობინებლად განახორციელოს ამ პირის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე შუამდგომლობის სასამართლოსთვის დაუყოვნებლივ წარსადგენად აუცილებელი ღონისძიებები, ხოლო მე-5 პუნქტი ადგენს, რომ ამ თავით გათვალისწინებული ქონება მოიცავს ყველა ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს და მათგან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვა პირებთან ერთად ფლობს ან აკონტროლებს: ა) სანქციადაკისრებულ პირთა სიაში შეყვანილი პირი ან ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პირი; ბ) პირი, რომელიც ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირის სახელით ან დავალებით მოქმედებს; გ) პირი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან აკონტროლებს ამ პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[8] თავით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელების წესი ტერორიზმთან დაკავშირებული პირებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებით განსაზღვრული პირების ქონებაზე ყადაღის დადებასთან დაკავშირებით, კერძოდ:

21[30] მუხლის თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (შემდგომ – გაერო) წესდების VII თავის საფუძველზე მიღებული გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად, რომელთა მიზანია ტერორიზმის დაფინანსების ან/და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსების პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესრულების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო კომისიის (შემდგომ – სამთავრობო კომისია) შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე.

21[31] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გაეროს უშიშროების საბჭოს №1373 (2001) რეზოლუციის მოთხოვნების შესაბამისად ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობა დასაბუთებული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული,

ყადაღადასადები ქონების შესახებ მონაცემები მათი არსებობის შემთხვევაში.

21[32] მუხლის თანახმად, მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობას დაუყოვნებლივ, ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას არაუგვიანეს 3 დღისა, „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირისთვის შეუტყობინებლად. მოსამართლე ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სამთავრობო კომისიის შუამდგომლობის განხილვისას ითვალისწინებს ყადაღისადმი დაქვემდებარებულ ქონებაზე კეთილსინდისიერ მესამე პირთა უფლებებს. მოსამართლე გამოსცემს სამთავრობო კომისიის შუამდგომლობით განსაზღვრულ ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე ბრძანებას, თუ დაასკვნის, რომ სამთავრობო კომისიის შუამდგომლობაში მითითებული პირი აკმაყოფილებს გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი რეზოლუციით განსაზღვრულ სათანადო პირობებს. ქონებას ყადაღა ედება უვადოდ, ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმებამდე. ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე მოსამართლის ბრძანება დგება სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი რჩება სასამართლოში, მეორე ეგზავნება სამთავრობო კომისიას, ხოლო მესამე – შუამდგომლობაში მითითებულ პირს. თუ ამ ბრძანების ეგზემპლარის აღნიშნული პირისთვის გადაცემა ვერ ხერხდება, ბრძანება ქვეყნდება საჯაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მხარისთვის ჩაბარებულად ითვლება საჯაროდ გამოქვეყნებიდან მესამე დღეს.

სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ 1267 (1999), 1989 (2011) და 2253 (2015) რეზოლუციის საფუძველზე შექმნილი უშიშროების კომიტეტის მიერ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით „ისლამური სახელმწიფოსთან" („დაეში") მიმართებაში დაწესებულია სანქციები. აღნიშნულ პირთა სია განისაზღვრება სწორედ ხსენებული კომიტეტის მიერ. გაეროს წევრი ქვეყნები ვალდებულნი არიან, არ გახადონ ხელმისაწვდომი ასეთი ქონება პირდაპირ ან არაპირდაპირ სიაში განსაზღვრულ პირთათვის.

სასამართლო დამატებით მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილზე, რომლის თანახმადაც, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით. აღნიშნული ნორმის საფუძველზე, სასამართლო ბრძანებას გამოაქვეყნებს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე გადმოცემული მასალების და აღნიშნულ ნორმათა გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში დამატებული პიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, საფუძვლიანია, უნდა დაკმაყოფილდეს და ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებას.

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შუამდგომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ ფიზიკურ პირთა სიაში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. ყადაღა დაედოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესაბამისად განსაზღვრულ პირთა სიებში ჩამატებული ფიზიკური პირის ქონებას;

2.1. ფიზიკური პირი:

პირადი ინფორმაცია (სახელ(ებ)ი, დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმ(ებ)ი, ზედმეტსახელ(ებ)ი	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი/ შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
<u>სახელები:</u> 1) ამირ (Amir) 2) მუჰამმად საიდ (Muhammad Sa'id) 3) აბდალ-რაჰმან (Abdal-Rahman) 4) ალ-მაულა (al-Mawla) *სახელი (დამწერლობა წარმოშობის ქვეყანაში): (Name (original*	ა) აბუ იბრაჰიმ ალ-ჰაშიმი ალ-ქურაში (Abu Ibrahim al-Hashimi al-Qurashi); ბ) ჰაჯჯი აბდალლაჰ (Hajji Abdallah); გ) უმარ ალ-თურქმანი (Abu 'Umar	არ არის დადგენილი	არ არის დადგენილი	2020 წლის 21 მაისი (21 May 2020)	ისლამური სახელმწიფოს ლიდერი ერაყსა და ლევანტში, სანქცირებული როგორც ალ-ქაედა ერაყში. (Leader of Islamic State in Iraq Iraq and the Levant, listed as Al-Qaida in Iraq (QDe.115)).

script): دبع دبعس دمحم ريما بلوملا نمحرلا ***<u>დაბადების</u>*** ***<u>თარიღი:</u>*** ა) წლის 05 ოქტომბერი (5 Oct. 1976); ბ) 1976 წლის 01 ოქტომბერი (1 Oct. 1976). ***<u>დაბადების</u>*** ***<u>ადგილი:</u>*** ა) ტალ-აფარი, ერაყი (Tall'Afar, Iraq); ბ) მოსული, ერაყი (Mosul, Iraq). ***<u>მოქალაქეობა:</u>*** ერაყი (Iraq)	al-Turkmani); დ) აბდულლა ჰ ქარდაშ (Abdullah Qardash); ე) აბუ აბდულლა ჰ ქარდაშ (Abu 'Abdullah Qardash); ვ) ალ-ჰაჯჯ აბდულლა ჰ ქარდაშ (al-Hajj Abdullah Qardash); ზ) ჰაჯჯი აბდულლა ჰ ალ-აფარი (Hajji Abdullah Al-Afari); თ) აბდულ ამირ მუჰამმად საიდ სალბი (Abdul Amir Muhammad Sa'id Salbi); ი) მუჰამმად საიდ აბდ ალ-რაჰმან				

	ალ-მაულა (Muhammad Sa'id 'Abd-al-Rahman al-Mawla); კ) ამირ მუჰამმად საიდ აბდ-ალ-რაჰმან მუჰამმად ალ-მულა (Amir Muhammad Sa'id 'Abd-al-Rahman Muhammad al-Mula); ლ) ალ-უსტადჰ (Al-Ustadh); მ) უსტადჰ აჰმად (Ustadh Ahmad).				

3. ბრძანება ძალაში შედის გამოცემისთანავე და მისი გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების მოქმედებას;

4. ბრძანება განთავსდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის.: ქალაქ თბილისი, გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №7ა), მხარისათვის ბრძანების ეგზემპლარის გადაცემიდან 48 საათში, ხოლო თუ გადაცემა ვერ ხერხდება, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

მოსამართლე ქეთევან მინაშვილი